137/1915 წ. /2.

ახალი ფეხსაცმელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 176

დამატების № 31

ხუთშაბათი, 1 იანვარი 1915 წ.

სალომეს ოჯახი

პიესა ხამ მოქმედებად

მოქმედნი პირნი:

სალომე 55 წლისა.

გიორგი, **ლეო**, **კესო** — შვილები მისი.

ილიკო—გიორგის ვაჟი ექვსი წლისა.

ტატე—სალომეს მაზლის წული. 32 წლისა.

ოქრო ასანიძე.

თამარ აბულაძე.

აზნ. ლევანტი გეგიაძე.

ნუცა სახლის პატრონის ქალი. 15 წლისა.

მოქმედება სწარმოებს ქ. ტფილისში.

მოქმედება პირველი.

[illegible] ოთახი ევროპიულად მორთული. სამი კარია: ერ-[illegible] ივანზე გასასვლელი, მეორე მარჯვნივ, მესამე კი სასადილო [illegible]თახში. წინა კარების აქეთ-იქით თითო ფანჯარაა ლამაზი გადა-[illegible]ეული ფარდებით, საიდანაც ოდნავ მაინც უნდა მოსჩანდეს ბუნე-[illegible]ის სანახაობა. სასადილო ოთახის ღია კარებიდან მოსჩანს სუფრა [illegible]ადაფარებული მოზრდილი მაგიდა, სანოვაგის შკაფი და სამზა-[illegible]რეულოში შესასვლელი კარებიც).

[illegible]ადის ახდისას კესო ზის ღია ფანჯარასთან მარცხნივ და ერთ პა-[illegible]ტარა ზომის უყდო წიგნსა კითხულობს.

ტატე. (ჩოხა აცვია. სასადილო ოთახშია და მოზრდილ ტიკი-[illegible] უკანასკნელ ბოთლს ავსებს. მერე პრობკას დაუცომს, ტიკს დაჰ-[illegible] და შეიტანს სამზარეულოში.

I

სალომე. (ხელებ დაკაპიწებული სამზარეულოდან გამოდის. ღვინით სავსე ბოთლებს შკაფის ქვემო უჯრაში შეაწყობს თითოუ-ლად. მერე შკაფიდან გამოიღებს სამიოდე თეფშსა და შებრუნდება ისევ სამზარეულოში).

II

ტატე. (გამოსვლისას პაპიროსს გააბოლებს. შემოდის ზალაში, ერთს გაივლ-გამოივლის, უეცრივ მანდილოსნის გადიდებულ სურათის წინ შედგება ერთის წამით, მერე სამწერლო მაგიდასთან დაჯდება) კესო! გეყოფა ამდენი კითხვა, თვალები გეტკინება.

კესო. (ამოოხვრით თავს მაღლა აიღებს, წიგნს დაჰკეცს და ტა-ტეს გაუწვდის) დასდე მანდ!

ტატე. (წიგნის სათაურსა ნახავს) ესაა ის წიგნი, სადაც გიორგის აკრიტიკებენ?

კესო. (წამოდგება) ჰო, ესაა. უნდა იცოდე ტატე როგორ უდი-ერად იხსენიებენ ჩვენი გიორგისა და მისი ამხანაგების წმინდა სა-ხელს. რამდენი გესლი, რამდენი უტიფრობა. ღმერთო ჩემო! განა წარმოიდგენდი, რომ ოდესმე ასეთ შხამიან მწერლებსაც წარმოშობ-და ჩვენი ცხოვრება?

ტატე. ვინაა დამწერი?

კესო. არ ვიცით. წიგნი მხოლოდ გუშინ წინ გამოაქვეყნეს აბულიძისტებმა და ამით ვითომ თავს ზარი დასცეს ახალ მიმდინა-რეობას.

ტატე. მაგალითად რას უწუნებს დამწერი გიორგის?

კესო. რომელი ერთი ჩამოვთვალო. განა არ იცი ასეთი ვაჟ-ბატონი რას იტყვის მოწინავე კაცზე? უწინარეს ყოვლისა, ეს წიგნი მიმართულია მოხუცი აბულაძის დასაცველად მოწინავე ახალგაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკ. გრიგოლ ᲐᲠᲓᲐᲖᲘᲐᲜᲘ
(მოკლულია)

,,ᲮᲐᲮ ᲤᲣᲠᲪ.'' ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ
ᲙᲐᲞ. ᲐᲕᲥᲡᲔᲜᲢᲘ ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲔ
(დაჭრილია)

ᲙᲐᲞ. ᲖᲘᲜᲝᲕᲘ ᲩᲝᲠᲩᲝᲫᲔ
(დაჭრილია)



ᲞᲝᲓᲞ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(დაჭრილია)

ᲙᲐᲞᲘᲢ. ᲑᲘᲥᲢᲝᲠ ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ
(დაჭრილია)

ᲙᲐᲞᲘᲢ. ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲙᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ)

ᲞᲝᲓ. ᲥᲐᲘᲮᲝᲡᲠᲝ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(დაჭრილია)

ᲙᲐᲞᲘᲢ. ᲘᲚᲘᲐ ᲘᲛᲜᲐᲫᲔ
(მოკლულია)

ᲞᲠᲐᲞ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ
(დაჭრილია)

ᲞᲝᲓ. ᲘᲝᲡᲔᲑ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ
(დაჭრილია)

დობის იერიშებისაგან. იმდენადაც გაკადნიერებულა, რომ გიორგისა და მის თანამოაზრეთ სამშობლოს მტრადაც კი აცხადებს.

ტატე. ოჰო! რას იზამ... ყველა გულს ხომ ვერ მინდობ ჭირს გაძლება უნდა.

კესო. უნდა სიმართლე სთქვას, რომ ავტორი ნიჭიერი და დიდი ცოდნით აღჭურვილი კაცი სჩანს. ალაგ-ალაგ ისეთ მარგალიტებს წამოისვრის, რომ გული გეთუთქება, როცა გაითვალისწინებ მის დამყაყებულ სულის კვეთებას.

სალომეს ხმა. (სამზარეულოდან) კესო!

კესო. (პირს მიიბრუნებს იქითკენ) რა გინდა, დედა?

სალომეს ხმა. თუ გცალიან, აქმო ერთ წუთას.

კესო. კარგი, მოვდივარ. (გადის).

ტატე. (წიგნს ფურცლავს).

მცირე პაუზა.

შემოდის კესო. შედის საწოლ ოთახში იქიდან გამოდის ხელსაქმით და ჯდება).

კესო. მე რომ წიგნები გამოგიგზავნე, ტატე, სულ წაიკითხე?

ტატე. ორის წაკითხვა-ღა მოვასწარი მხოლოდ.

კესო. ასე ცოტა? რა მოგსვლია?

ტატე. რა მექნა, დრო, რომ ვერ ვიხელთე! წელს მარტო ისე დაიბანდა ჩემი საქმე, რომ გაზეთის წაკითხვასაც ველარ ვასწრობ. ასეა ყოველთვის. ღარიბი კაცი რომ ცოლ-შვილში ჩაებმება მისი საქმე წასულია. ჩემ დღეში მყოფს განა შეუძლიან იზრუნოს თვითგანვითარებაზე? არა, კესო, არა, მორჩა, მე აღარა მაქვს მომავალი.

კესო. გულს ნუ გაიტეხ, ვინ შენ და ვინ ასეთი უიმედობა? ვინ იცის ცხოვრებაში რამდენი რამ მოგელის კიდევ.

ტატე. ნუ მაღიზიანებ, თუ ხათრი გაქვს. არაფერიც არ მომელის.

კესო. მეფუტკრეობას ხომ თავი არ გაანებე?

ტატე. არა, ჯერჯერობით ისევ ესაა ჩემი ცხოვრების საიმედო წყარო.

კესო. უერთგულე, უერთგულე. ეცადე სხვებიც შეაჩვიო მაგ საქმეს. სხვა, რას მეუბნებოდი წელან? სოფლად ისევ ძველი ზნე-ადათი შემოიღესო?

ტატე. მაშარადა!

კესო. ნაძირალები ისევ ძალიან თარეშობენ?

ტატე. ლამის აგვიკლონ. თუ ამდენი ტრაბახი და სინიდის-გადარეცხილი წევრი გვყავდა, შეიძლებოდა კი რისამე გაკეთება?

კესო. ღმერთო ჩემო! ყველა იმ იმედების შემდეგ რა შეგვრჩა ხელში. ნუ თუ ის იყო მხოლოდ სიზმარი ტკბილი და სანეტარო?

ტატე. ქარის მოტანილი, ქარმავე წაიღო. ათასჯერ მითქვამს, თუ გახსოვს, რომ ქარიკელ კაცს აშენების უნარი არ აქვს მეთქი და კაცი არ იყო ჩემი გამგონე. აშენებულს დანგრევაში კი ენდე, ამაში ბადალი არა ჰყავს.

კესო. ფიქრი არაა. თუ დააცდიან აშენებაშიაც უნარს გამოიჩენს; ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ, ასე რომ კვლავ აღარ გაბედო ჩვენი საყვარელი ერის ცუდათ ხსენება.

ტატე. (წამოდგება) დაიჯერე, რომ დაკქველდით და სასიცოცხლო ძალა სრულიად გამოგველია, გამოგველია.

სალომე. კესო, შვილო! წადი ბიჭს მიჰედე, არა მოუვიდეს რა. (ჯდება ტახტზე დაღრეჯილი) ვაი, სიბერეევ დაგიდგეს თვალები.

კესო. ბიჭი აკი ოთარაანთ ბალღებთანაა!..

სალომე. ჰო, მართლა. სულ დამავიწყდა. ეაცვალოს ბებო! აკერ მოუკა განათლებული ძია და, აბა, ნახეთ, რა პატივს ეყოლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარის-კაცი მიხ. ელიაშვილი
(დაჭრილია)



ჯარ.-კაცი სოლ. მიქიაშვილი
(დაჭრილია)

ქ მ ა ნ ი

პორ. დიმიტ. ანდრონიკაშვილი
(მოკლულია)

კაპ. მიხეილ ანდრონიკაშვილი
(დაჭრილია)

ჯარ.-კაც. ვას. კალმახელიძე
(დაჭრილია)

უნტ.-აფიც. ვარლამ ქარცივაძე
(დაჭრილია)



ჯარ.-კაცი პეტ. ედილაშვილი
(დაჭრილია)

ჯარ.-კაცი ილია ფურცელაძე
(დაჭრილია)

ში კაცებს იტაცებენ და ქალებს დაინდობენ?

კესო. ფიქრი ნუ გაქვს. თუ მართლა გაჭირდა საქმე არც თუ მე ვარ ლაჩარი. მაშ მივდივარ (მიდის).

სალომე. (უცბად რაღაც მოაგონდა) დაიცა, დაიცა ქალბატონო! ჩვენება ჩამოგართვა!

კესო. (შედგება).

სალომე. წეღან ჭიშკართან ვის ელაპარაკებოდი?

კესო. მეც არ მეგონა! ვისა და ახალგაზრდა პოეტ .პეტიკას.

სალომე. უი ნეტავი თავს დაგანებებდეს ის ვიღაც პეტიკოა თუ მეტიკო.

კესო. რას ერჩი დედა. იმ პატიოსან კაცს კარგის მეტი რა მიუძღვის ჩვენს წინაშე? შენა გგონია...

სალომე. (გააწყვეტინებს) მე მგონია, რომ ის შენ გეარშიყება.

კესო. (კისკისებს).

ტატე (იცინის კესოსთან ერთად) წადი, ოორემ გითაქებს.

სალომე. თუ კაი კაცია, რატომ ერთხელ სახლში არ შემოგყვება? გვემალება განა?

კესო. განა ცოტას ვეხვეწები, მაგრამ რომ ვერა გავაწყერა. ასეთი მორცხვი კაცის მნახველი არ ვარ.

სალომე მორცხვი კი არა, ბოლოკის კუდი არ გინდა! იმ საარშიყო ლექსების დამწერი მე თუ მკითხავ, ქვეყნის დამქცევია. დალახვროს ეშმაკმა, საცა გინდა თუ არ გინდა უსათუოდ უნდა ამოჭყოს თავი. შენ, რომ იმან ლექსი გიძღვნა, გგონია შევარჩინო?

კესო. (კისკისებს) ახ, დედილო, დედილო! (გადის).

სალომე. (თვალს გააყოლებს და რაღაცას ჩურჩულებს).

ტატე. (დაამთქვარებს და ხელს ტუჩებზე მიიფარებს).

სალომე. გეძინება?

ტატე. თითქოს. გზაში ძალზე გავილახე. იმ დასაქცევ მატარებ ლში ტევა არ იყო და მთელი ღამე ფეხ-დგომელა გავათენე.

სალომე. მოდის და მოდის ამ ქალაქში ეს მილეთის ხალხი.

ტატე. ცხოვრება ერეკება ძალო, ცხოვრება. ასეც სჯობია მე და ჩემმა ღმერთმა. საცა სიცოცხლეა ადამიანის გულიც იქითკენ მიილტვის.

სალომე. სოფელს რაღა ეშველება?

ტატე. „ისიც უნდა გაქალაქდესო“—ამბობენ სწავლულები.

სალომე. ახლა სოფელიც უნდა გააქალაქონ, გენაცვალეთ რა დრო დაგვიდა!

ოველ წერილში კოკნას უგზავნიდა, სულ იმის მომავალზე ფიქ-ობს. თუ ცოცხალი უმყოფა ღმერთმა, არას დააკლებს. (კესოს) შენ ითქოს მოკაზმულხარ.

კესო. ცოტა ხნით ელენესთან მინდა ჩავირბინო, რა თქმა უნ-ა, თუ შენთვის საჭირო არა ვარ.

სალომე. არა, წადი, ხოლო შენებურად არ დაიგვიანო, თორემ...

კესო. თორემ, რა დედა?

სალომე. საიმისო არაფერი, მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი. რა-სხვაგან მეგულები, შიშით ვკანკალებ ხოლმე.

კესო. რა გაშინებს ქა? ხომ არავინ მომიტაცებს ამოტელა ლს?

სალომე. ვინ იცის; ლამაზი მყევხარ, გენაცვალოს დედა, ლა-ზი. ვინმე ოხერს რო გაუწყრეს ღმერთი, რაღა მეშველება? მე შენ თხრა დაგიწუნონ! უი უწინამც დღე გამქრობია! ჩვენ დრო-

(გამოჩნდება აივანზე სახლის პატრონის 15 წლის ნუცა).

სალომე. ნუცა შენა? მოდი შვილო, მოდი!

ნუცა. ბებია სალომე! მართამ შემოგითვალა, „როცა მოიცალო, ცოტა ხნით ჩვენსა ჩამობძანდიო“.

სალომე. რა იყო, რა გასჭირებია?

ნუცა. რა მოგახსენოთ. (მიდის).

სალომე. ნუცა, ნუცა, დაიცა შვილო ხილი გაგატანო. შედის საჩქაროდ სასადილოში და გაუტანს სინით ხილს, ჩაუყრის წინსაფარში და გაატანს. (შემობრუნდება და ტატეს) შვილო! როგორ მოგვიდათ, რომ ერთადერთი ძროხა გყავდა და ისიც მგელს შეაჭამეთ?

ტატე. ეჰ, დალოცვილო, ისე ამბობ, თითქოს არ იცნობდე ჩემს შინაურ გარემოებას. „შეაჭამე“. ჩემი ნებით ხომ არ ჩამიდვია მგლისათვის პირში: „ბატონო მგელო! გთხოვთ ეს ძროხა შეგვიჭამეთ მეთქი“.

სალომე. ნეტავი, ბიჭო, ეს უთავბოლო ოხუნჯობა არ გიყვარდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატე. შენ რა გიჭირს. გამოჰკეტე სახლის კარები და აქ მოიკალათე, მე კი ეს მარტოხელა კაცი ათას დავიდარაბაში ვარ გაბმული. ვინც საჭირო იყო, ლოგინში მიგდია და სხვა ვინღაა ყურისმგდებელი? (ივანზე გადის: ამ დროს ვიღამაც დაახველა ეზოში).

ტატე. (გადაიხედავს) ძალო, ის კაცი ისევ მოდის.

სალომე. ვინ კაცი?

ტატე. ლევანტი გეგიაძე.

სალომე. აბა, შემოუძეხ!

ტატე. (გადის ივანზე და შემოუძღვება) მობრძანდი ბატონო!

ლევანტი. (დარბაისელი კაცია). დავიჯერო, არც ეხლაა შინ?

სალომე. რაღაც შეაგვიანდა. ალბად მალე გიახლებათ. დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე, დაბრძანდით.

ლევანტი. (ჯდება) წეღან სასახლის ქუჩაზე შევხვდი იმასა და ოქრო ასანიძეს, მითხრა. შინ ადით და მეც მალე მოვალო.

სალომე. მაშ საცაა, მოვა. დიდი ხნით ჩამობძანდით ქალაქში?

ლევანტი. ხუთი დღით.

სალომე. ალბად შვილის თაობაზე.

ლევანტი. სწორედ. ორ საგანში კოჭლობს, თურმე, და თუ დროზე არ მივიღე ზომები, გამომიგდებენ უთუოდ.

სალომე. ჩემ გიორგის გინდათ მიანდოთ?

ლევანტი. თუ უარი არ მითხრა, ამაშენებს და ეგ არი.

ტატე. სხვებს თუ ამზადებს, რაღა მეგობარ კაცს ეტყვის უარს?

სალომე. ვისთან აქვს ბინა?

ლევანტი. მატურელის ქვრივთან. არა გნახულობთ?

სალომე. ერთხელ კი იყო, მერე ამოიკვეთა ფეხი და არ ვიცი, თუ რატომ.

ლევანტი. მორცხვია ის საძაგელი, ძალზე მორცხვი.

სალომე. ვაჟები, ვგონებ, კიდევა გყავთ?

ლევანტი. ბარე ხუთი. აბა მარტო ერთი რომ მყოლოდა, რაღა მიჭირდა.

ტატე. ეს კი მართლაც ძნელია ჩვენ დროში.

ლევანტი. მეც მაგას არ ვამბობ? რას იზამ ბატონო, წინანდელი დრო რომ ყოფილიყო, იოლად წავიდოდით, მაგრამ ეხლა უსწავლელი კაცი რის მაქნისია. მით უმეტეს ჩვენ ისეთ დღეში ვართ, რომ თუ სწავლით არ გავმაგრდით, დაღუპვა აუცილებელია.

ტატე სრული ჭეშმარიტებაა, აი მართალი სიტყვა! ბ-ნო ლევანტი, სრული ჭეშმარიტებაა.

სალომე. სხვებმა იკითხონ, თორემ თქვენ რა გიჭირთ. მამაპაპეული ხომ სამყოფი გაქვთ.

ლევანტი. მართალი ბრძანებაა, მაგრამ ყოველივე ამას მცოდნე და მუყაითი პატრონი უნდა.

ტატე. ჩვენში კი თითო-ოროლას გარდა, არავინ არაფერი არ იცის.

ლევანტი. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად. ჩვეწს მიწა-წყალზე უცხოელები ჯიბეს ისქელებენ, ჩვენ კი, ჩვენის უვიცობით, შიმშილით ვიხოცებით.

ტატე აი კიდე მართალი სიტყვა!.. ბატონო! ამაზე ფიქრს რომ არ გადავყოლოდი, რა მიჭირდა!..

სალომე. ამბობენ, ეხლა ჩვენებიც სწავლობენ ჭკუასო.

ტატე. იჰ, სწავლობენ კი არა...

ლევანტი. ნათქვამია: „დაო პანტა გიმწიფსო და კიდეც გიჭირსო“ თუ რამე სიკეთეს იზამენ დრო არაა თუ?

ტატე. (თავისთვის) იზამენ კი არა!..

ლევანტი. სხვა, როგორ გიკითხოთ, ბატონო სალომე, როგორა ცხოვრობთ?

სალომე ეჰ ვართ რაღა! ამ დალოცვილმა ღმერთმა თითქოს ჩემთვის მოიცალაო, ერთხელაც არ გადმომხედა მოწყალე თვალით. დღე ერთია და უბედურება ათასი.

ლევანტი. რას უზამ ბატონო წუთი-სოფლის ასავალ-დასავალს. ჩვენი ცხოვრება მარტოოდენ ტანჯვაა. სიმართლისათვის თავ-დადებულნი კი მოგეხსენებათ ყველაზე მეტს იტანჯებიან. მართალია დიდი ჭირ-ნანახი თქვენი სახელოვანი ოჯახის წმინდა ადამიანი ხართ, მაგრამ ინუგეშეთ თავი იმით, რომ სახელს არ დაივიწყებენ.

სალომე. უი გეთაყვანე, ჩვენ კი გადავშენდით და. აი, მე რომ ის დრო მომაგონდება!

ლევანტი. გენოზე კიდევა დარდობს?

სალომე. მას მერე მის სახეზე იშვიათია ღიმილი. ისე კი ჩემი თვალების ასაბმელად თითქოს არ იმჩნევს მწუხარებას.

ლევანტი. არა უშავს რა. მადლიანი დრო ყოველივეს მოაშუშებს. გიორგი ჯერ სულ ახალგაზრდა კაცია და ცოდვაა, ასე მალე დასჭკნეს.

სალომე. არა მგონია, მეორედ დაქორწინება მოიწადინოს, თუმცა ვინ იცის. მამაკაცისას ვინ რას გაიგებს.

ლევანტი და ტატე. (იცინიან).

ლევანტი. ეს გარემოებაზეა, ბატონო, დამოკიდებული.

სალომე. მართლა ლევანტი, ალბათ თქვენც გაიგეთ, რაღაც წიგნი, გამოსულა ამ დღეებში. ვიღაცა, რომ გიორგის მილანძღავს თურმე.

ლევანტი. დიაღ, გავიგე, თუმცა წაკითხვით ჯერ არ წამიკითხავს.

სალომე. აი როგორ უხდიან მადლობას.

ლევანტი. ფიქრი ნუ გაქვთ. იყბედებენ და გაჩუმდებიან. გიორგისთანა კაცებს ესეთი მამლაყინწები ვერას ავნებენ.

შემოდის კესო.

ლევანტი (ღიმილით) ხომ ჰხედავთ რა აბეზარი კაცი ვარ.

კესო. აბა რა სათქმელია, ბატონო ლევანტი.

სალომე. ასე მალე?

კესო. შინ არ დამიხვდა (მიდის ოთახში და ისევ მალე გამოდის ხოლო უშლიაპოთ და ჯდება სამწერლო მაგიდასთან).

სალომე. ნიკო აბულაძის დამბლად დაცემასაც გიორგის აბრალებენ.

ლევანტი. არ მესმის, აქ გიორგის რა ბრალი უნდა მიუძღოდეს.

სალომე. ამბობენ, გიორგის ნაწერებმა ჩააგდოს ამ დღეშიო.

ლევანტი. ჰო, შეიძლება. ის ისეთი ამაყი და ფიცხი გულის კაცი იყო, რომ ადვილი შესაძლებელია, იმ დამარცხებამ მართლაც იმოქმედა.

სალომე. ნეტავი ღვთის მადლით გადარჩებოდეს. თუ მოკვდა, აგვიკლებენ უთუოდ, კეკლუცი თამარ ქალია თურმე ძალზე გაბრაზებული. ჩემ გიორგის ემუქრებაო, გადმომცეს.

ლევანტი ნეტავი ეგ ხალხი რამ გადარია!

სალომე. ემართლება ბატონი, ემართლება. თუ კი მისი მამის დაუძლურებაში ჩემ შვილს მართლაც უდევს რაიმე წილი, რა თქმა უნდა ეძულება. სუს! ვგონებ ბიჭი სტირის. (კესოს) აბა. შვილო მიჰხედე!

კესო. (გადის საჩქაროდ).

ლევანტი. (წამოდგება, პაპიროსს მოუკიდებს, ერთს ტატესაც შესთავაზებს). ლეოს როდის მოელით უცხოეთიდან?

სალომე. ყოველ დღე. „ამ თვის ბოლოს მელოდეთო“ და აი ვნახოთ.

ლევანტი. მომილოცნია. მოვა განათლებით აღჭურვილი და გაახარებს დედის გულს. ეხლა არც თუ ლეოა უბრალო კაცი. იმისმა ნაწერებმა უკვე მიიქციეს ყურადღება. კესოც რა ვეება ქალი გამხდარა. ქუჩაში რომ მენახა, რა თქმა უნდა, გვერდს აუქცევდი. გავიგე მასწავლებლებსო და გულით გავიხარე.

სალომე. დიაღ. ქალაქის სკოლაშია. შემოდგომიდან გამგის ადგილს აძლევენ.

ლევანტი. ყოჩაღ!

სალომე. ეხლა ჩემი საზრუნავი ამ ერთად ერთი ქალის დაბინავება და ლეოს დაცოლშვილებაა.

ლევანტი. ყველაფერს მოესწრობით, ბატონო სალომე, ყველაფერს.

ტატე. (სალომეს) მე ცოტახნით დათიკოსთან ჩავირბენ. (ლევანტის) თქვენ არ გემშვიდობებით. მალე მოვალ (გადის).

(შემდეგი იქნება).

ტრ. რამიშვილი.

ნებადართულია საიმედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ბუხრანის ეუჩა, სტამბა „ზრობა“. რედაქტორ გამომცემელი დ. ჯორჯაძე